სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 495

(ოქმი № 434)

თბილისი 2020 წლის 2 დეკემბერი

ა/წ 6 ნოემბერს, თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს (შემდგომში - "სამეურვეო საბჭო") სააპელაციო საჩივრით მიმართა ფიზიკურმა პირმა ჯორჯ ვემსმა.

კორონა ვირუსთან დაკავშირებით (COVID19) ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო, აღნიშნულ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით სამეურვეო საბჭოს სხდომა ჩატარდა ა/წ 2 დეკემბერს დისტანციურ რეჟიმში, სადაც მონაწილეობას იღებდა სააპელაციო საჩივრის ავტორი და მისი წარმომადგენელი. სამეურვეო საბჭო დეტალურად გაეცნო წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარს, საქმის მასალებს და მოისმინა მხარის განმარტებები.

სამეურვეო საბჭო ეთანხმება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის 2020 წლის 27 ოქტომბრის დასკვნას და გენერალური დირექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებას, რომელიც სათანადოდ არის დასაბუთებული. სამეურვეო საბჭოს ადგენს, რომ 2020 წლის 1 ოქტომბერს გადაცემაში "ტაიმაუტი" საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან ადგილი არ ჰქონია "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" შესაბამისი ნორმების დარღვევას და ამდენად, არ არსებობს თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის ზემოთ ხსენებული დასკვნის და გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

1. არ დაკმაყოფილდეს ფ/პ ჯორჯ ვემსის სააპელაციო საჩივარი და ძალაში დარჩეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის 2020 წლის 27 ოქტომბრის დასკვნა და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

2. წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოოა და სასამართლოში ან/და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში არ საჩივრდება.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯომარის მოადგილე:

მიხეილ ჩიკვილაძე

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

გიორგი ნიჟარაძე

იზაბელა ოსიპოვა

ირაკლი პაპავა

ზაზა აბაშიძე

გრიგოლ მურღულია

ბონდო მძინარაშვილი